18/06/2024

MES 0 24 00001.1/73

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
ბრძანება

N1.1/73

თბილისი

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად წარმოდგენის ვადა: **2024 წლის 12 ივლისიდან - 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით.**
ბ) მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა: **2024 წლის 21 აგვისტოდან - 2024 წლის 9 სექტემბრის 18.00 საათამდე.**
გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ, დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა: **2024 წლის 12 სექტემბრიდან - 2024 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.**
2. **დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.**
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი№64), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის უფროსის მოადგილის - სოფიო უგრეხელიძის 2024 წლის 18 ივნისის N688319 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად